# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

## ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ 34

ქალაქი ქუთაისი 17 ივნისი 2022 წელი

საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების

შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის, საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 239-ე მუხლის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს №1-1/345 ბრძანების საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს**:

**მუხლი** 1. დამტკიცდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა - ანგარიშგების წესი №1 დანართის შესაბამისად.

(№1 დანართი დადგენილებას თან ერთვის)

**მუხლი** 2. დამტკიცდეს საჯარიმო ქვითრის (ოქმის) შედგენისა და გამოყენების წესი №2 დანართის შესაბამისად.

(№2 დანართი დადგენილებას თან ერთვის)

**მუხლი** 3. დამტკიცდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №3 დანართის შესაბამისად.

(№3 დანართი დადგენილებას თან ერთვის)

**მუხლი** 4. დამტკიცდეს საჯარიმო ქვითარი (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი) N4 დანართის შესაბამისად.

(№4 დანართი დადგენილებას თან ერთვის)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

**მუხლი 5.** დამტკიცდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის, საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების აღრიცხვის ჟურნალის ფორმა №5 დანართის შესაბამისად.

(№5 დანართი დადგენილებას თან ერთვის)

**მუხლი 6.** დამტკიცდეს გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის, საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების ჩამოწერის შესახებ აქტის ფორმა №6 დანართის შესაბამისად.

(№6 დანართი დადგენილებას თან ერთვის)

**მუხლი 7.** არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს „ქუთაისის მუნიციპალურ ინსპექციას" (ს/კ: 412767830) მიენიჭოს საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი" $55^5$, $55^6$, $77^1$, $77^2$ მუხლებით, $82^5$ მუხლით (პლასტიკისა და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში), 103-ე, $107^4$ მუხლებით, 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13, მე-14, მე-16 ნაწილებით, $134^1$, 135-ე, $135^1$ და $146^1$ მუხლებით, 148-ე მუხლის მე–3 და მე–4 ნაწილებით, 150–ე – $150^1$ მუხლებით, 151–ე მუხლის მე–3 ნაწილით, $151^2$ და $156^1$ მუხლებით, $158^5$ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის უფლებამოსილება.

**მუხლი 8.** არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს „ქუთაისის მუნიციპალურ ინსპექციას" (ს/კ: 412767830) 2022 წლის 31 დეკემბრიდან მიენიჭოს საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი" $152^5$, $152^6$, $152^7$, $152^8$ და $152^9$ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის უფლებამოსილება.

**მუხლი 9.** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისს" (ს/კ: 412711230 ) მიენიჭოს საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი" 125-ე მუხლის მე-15 ნაწილითა და $125^4$ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის უფლებამოსილება.

**მუხლი 10.** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიას" (ს/კ: 412750713) მიენიჭოს საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი" 130-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის უფლებამოსილება.

**მუხლი 11.** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სოციალურ საკითხთა სამსახურის მეორად სტრუქტურულ ერთეულს – ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებას მიენიჭოს საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი" $46^5$, $46^6$, $172^8$ და $172^9$ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის უფლებამოსილება.

**მუხლი 12.** ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის", საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი", საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი" მუხლებით გა თვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ოქმის ფორმის, მისი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" თვითმმართველი ქალაქის ქუთაისის საკრებულოს 2009 წლის 25 ნოემბრის №254 დადგენილება.

**მუხლი 13.** დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 17 ივნისიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია